ეროვნული ბიბლიოთეკა




გამოსვლის 56-ე წელი, (№ 1571). მაისი, 1980, ფასი 20 კაპ.

# ნიანგი

9

„...კვლავ ფიქრით ვუბრუნდები ლენინის სიტყვებს პარტიული პუბლიცისტიკის ამოცანების შესახებ — თანამედროვეობაზე ისე ვწეროთ, რომ საკუთარი კალმით შეძლებისდაგვარი დახმარება გავუწიოთ ჩვენი პარტიის, ჩვენი ხალხის პრაქტიკულ საქმეს. ეს ხომ დღესაც არის ჩვენი პუბლიცისტიკის, ჩვენი მასობრივი პროპაგანდის, პარტიის მთელი იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის მთავარი ამოცანა. უფრო ფართო თვალსაზრისით კი საერთოდ ჩვენი მხატვრული ლიტერატურისა და ხელოვნების ამოცანაც...“

ლ. ი. ბრეჟნევი

# ძალა მართალი სიტყვისა

დრო ფურცლავს გარდასულ წელთა პრესას!.. რევოლუციის გრიგალი გუგუნებს „ისკრაში“, პუბლიცისტისა და მწერლის კალმით იწერება რევოლუციის ეპოპეა. მართალი სიტყვის სათავეში ლენინი დგას, დგას ადამიანი, რომელსაც ბეჭდვითი სიტყვა რევოლუციის სარდლად მიაჩნდა!..

საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის ასოთამწყობი ხალხია, ჩვენი დღევანდელობა და ხვალინდელი დღე. ბოლშევიკურ პრესას, პარტიულ მწერლობას არასოდეს მოუცლია რევერანსებისთვის, სიტყვასთან აშიკობისთვის, რადგან ვერასოდეს ვერ იგუებს დიდკაცურად გაქსუებულ სტრიქონს. მისმა მედროშეებმა — „ისკრამ“ და „პრავდამ“ დაამკვიდრეს ელვასავით მოქნეული სტრიქონი, რომელიც წერტილიდან წერტილამდე სიმართლით, ჩვენი ცხოვრების დიდი შინაარსით არის სავსე. საბჭოთა ჟურნალისტის კალმის ფხა დღესაც ბასრავს ბიუროკრატიზმს, სიხარბის, კარიერიზმის, მომხვეჭელობის, სიცრუის, ეგოიზმის, ყოყლოჩინობის, ამპარტავნობისა და უსაქმურობის რვაფეხას!

არც ქართული ბეჭდვითი სიტყვა მდგარა დროის მიღმა, არ ჩურჩულებდა იქ, სადაც ხმამაღლა თქმა იყო საჭირო. ამით სამართლიანად ამაყობს ჩვენი მწერლობა, პუბლიცისტიკა!.. ყოველი ახალი დღე კალმის სამუშაო დღეც არის. სრულიად საქართველო აღსდგა ფეხზე, რათა რესპუბლიკის მიწაზე ფეხი აღარ ედგას ყოველივე იმას, რაც ქართველს სახეზე ხელებს ააფარებინებს და შუბლს სირცხვილის ოფლით დაუცვარავს. უდიდესია ამაში პრესის, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის როლი. მებრძოლი პუბლიცისტიკა, სილასავით გაწნული სტრიქონი, ფელეტონისა თუ სატირის უბოდიშო მახვილი უნდა აფხიზლებდეს და ბასრავდეს ყველას, ვინც დღესაც მღვრიე სარკეში იყურება საკუთარი თავის საცნობად. ჩვენს ბეჭდვითს სიტყვას არ მართებს გესლიანი ხითხითი, მისი სატირაც მუდამ სახრესავით უნდა იყოს გასხეპილი და ადამიანში კეთილშობილების აღზევებას ემსახურებოდეს! ასეა, როცა სიტყვას მუხლს სიმართლე უმაგრებს, როცა ხალხისას და სახალხოს ლაღადებს.

როგორ არა ჰგავს ყოველივე ეს ბურჟუაზიული პრესის ლაქიურ სულს, სადაც დასავლურ აუქციონზე ძვირად იყიდება მისი აღმატებულება — სიტყვა-სიცრუე, სადაც ჰყვავის კალმის ყვითელი ბიზნესი. დოლარმა გებელსის ყელი ჩაუდგა მსოფლიო სოციალისტური სისტემისკენ მიმართულ „თავისუფალ“ რადიორუპორებს! ეთერს ამღვრევს სხვადასხვა ჯურის ჩახლეჩილი „ხმა“. რათა იქნებ ათასი ჭკვიანიდან ერთმა სულელმა მაინც დაიჯეროს ამ ქადაგად დავარდნილ სიცრუისა და სიმართლის ძებნაში გაუხედნავი თვალი მოიტყუოსო!..

სიმბოლურია, რომ ბეჭდვითი სიტყვის დღე დიდი ლენინის სახელს უკავშირდება, ადამიანისას, ვინც სიტყვას მასების გულისაკენ მიმავალი გზა დაანახვა, ვინც დაბეჭდილ სტრიქონში ხალხის ხმასა და გულისფეთქვას უსმენდა!.. ცოცხლობს და ცოცხლებს ლენინური საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვა, ნაპერწკლიანი სტრიქონი, მხნე აზრი!.. არასოდეს ჩაქრება ის, რაც იმისთვის არის გაჩენილი, რომ ენთოს და ანათოს!..

აკაკი გეწაძე

# იმედის ფრონტი

ჭირთამძლე სიცოცხლის კანონი ასეთია: იგი მონელებულ უბედურებას და სევდას ხშირად გარდაქმნის სიხარულად, ღიმილად, სიცილად. ზოგჯერ ასე ვიგონებთ ახლა ომის ბევრ ჭირ-ვარამსაც.

მაგრამ ომის ბევრ გაჭირვებას მაშინაც ახლდა სიცილი.

მახსოვს, ყუმბარშენის ორომტრიალში რა გამწარებით „ვბურღავდით“ თავით მიწას, რომ სიკვდილს დავმალვოდით, მერმე წამოვიშლებოდით, ერთმანეთს უცნაურად გადავხედავდით და ხშირად რატომღაც სიცილ-ხარხარი აგვიტყდებოდა. რა გაცინებთო, იმ წუთში ვინმეს რომ ეკითხა, ვერაფერს ვუპასუხებდით, რამეთუ თვითონაც არ ვიცოდით გარკვეულად. ეტყობა, ხშირად ვერც გაიგებ, რისთვის იცინის ადამიანი. ალბათ ამ სიცილს ფრონტული ცხოვრების ჯოჯოხეთური ყოფა გვთხოვდა გულის ვარამის განსატვირთავად და ნერვული დაძაბულობის განსამუხტავად. სიცილი იმედის პურივით იყო ფრონტზე და ამიტომ გაუმარჯოს გადახდილი ჭირ-ვარამის სიცილად აფეთქებას!



## სიცილს გაექცა

შიშს რომ დიდი თვალები აქვს, ყველაზე სარწმუნოდ ეს ფრონტზე დავინახე და იქვე სხვა სიბრძნეც აღმოვაჩინე: შიში ერთსა და იმავე ადამიანს ხან აპატარავებს, ხანაც უსაშველოდ ბერავს.

ორმოცდაორი წლის სექტემბერი. სტალინგრადის თეატრის უბანი. ჩვენს მახლობლად, ქუჩის შუაგულში, ყუმბარამ უზარმაზარი ორმო გააჩინა, იმ ორმოში გამოჩნდა გაუქმებული საკანალიზაციო მილი. სვასტიკიანი თვითმფრინავები დღედალამ თავზე დაგვტრიალებენ, ხან ყუმბარებს გვიშენენ, ხანაც საგანგებოდ დახვრეტილ რელსს ან თუნუქის კასრს გვესვრიან. ეს ყუმბარებზე უარესია. რელსიც და კასრიც ისე ამაზრზენად ბლავის, წივის, კივის და გრუხუნებს, გეგონებათ, ეს-ესაა, ცა დედამიწას თავზე დაემხობაო.

ერთმა მეთაურმა ვერ გაუძლო ამ საშინელებას და ჯერ ნაყუმბარევ დიდ ორმოში ჩახტა, მერმე კი გაუქმებულ საკანალიზაციო მილში შეძვრა... შეძვრა და ველარ გამოძვრა. მოვეკიდეთ ფეხებზე, გამოვქაჩეთ, მაგრამ ჩექმები წასძვრა, თვითონ კი ველარ გამოეტია. ეტყობა, შიშმა ჯერ ცეცხლში შეგდებული ტყავივით შეკუმშა კაცი, მალე კი ტიკივით გაბერა. კიდევ კარგი, მოვიფიქრეთ, მილი შემოვამტვრიეთ და გადავარჩინეთ ადამიანი, თორემ იქნებ იმ მილშივე ამომხრჩვალიყო. მერმე იმ სამარცხვინოდ შიშნაჭამი მეომრის დანახვისას ყველას ეცინებოდა. მეთაური მიხვდა, ავტორიტეტდაკარგულს აქ აღარ მედგომებაო და სხვა პოლკში გადავიდა, სიცილს გაექცა. ჯარისკაცის სიცილი კი სიკვდილის შიშზე ძლიერია.

## ზიარი ორმო

ომი ზოგჯერ სეირის ყურებაც არის. ფრონტზე ხანდახან ისეთ სასაცილო რამესაც ნახავ, რომ...

იასის მისადგომებთან, მაისის მიწურულში, ცხარე ბრძოლების დროს სვასტიკიანი თვითმფრინავები დაგვესხნენ თავს. ყუმბარშენისას ცას ხელს ვერ მიაფარებ, მიწაზე აქეთ-იქით სირბილიც ამაოა, თან ვერაფერი ვაჟკაცობაა, სადმე არ ჩაიმალო და ტყუილუბრალოდ გასწირო თავი. თვალით თხრილი უნდა მოძებნო სწრაფად, ჩაწვე შიგ და დაელოდო, როდის მიწყდება სიკვდილის გრუხუნი და ზმუილი. იმ თავდასხმის დროს ჩვენი დივიზიონის სანგრებს ხაზთან ერთადერთი ორმო ჩანდა და იმაშიც მყრალი წყალი იდგა. თვითმფრინავების აზმუვლებისას იმ ტლაპოიანი ორმოსკენ ერთდროულად გაიქცნენ შტაბის უფროსი ონი ძუგაევი და ჯარისკაცი ლევან მახათაძე. კაპიტანმა დაასწრო ჯარისკაცს, პირველი ჩაწვა ორმოში, გონმიუცემლად მივარდა მახათაძე, ძუგაევი ტლაპოდან ამოაგდო და თვითონ ჩაწვა. ძუგაევიც უმალვე ზედ დააწვა. სვასტიკიანმა თვითმფრინავებმა ყუმბარები ბლომად დაგვაყარეს და გაფრინდნენ.

ღვთის მადლითა და შეწევნით, ყველანი საღ-სალამათნი გადავრჩით. წამოდგნენ წუმპე-ლაფში თავიდან ფეხებამდე ამოთხვრილ-ამოლართხული კაპიტანი და ჯარისკაცი. მეგონა, ახლა კი ატყდება აყალმაყალი-მეთქი, მაგრამ შევცდი: ძუგაევმა და მახათაძემ ერთმანეთს შეხედეს და ორივეს სიცილი წასკდა.

არავითარი საყვედური! სიცილით უთხრეს ერთმანეთს ყველაფერი.

ასე იცის ფრონტზე ზიარმა გაჭირვებამ, ზიარმა ორმომ და ზიარმა სიცილმა.

## სოფელში თუ ხარ!..

არქიფო სოფლის კაცია, სოფელში ცხოვრობს ცოლ-შვილით,
ბოსელი დანგრეული აქვს, საქათმე — მიშლილ-მოშლილი!..
საღორის კვალიც არა ჩანს, მგონი, არც როდის ჰქონია!
ეზოში ბალახს არ თიბავს, არც ჩალა აუკონია!
ძროხა არა ჰყავს, არც — ღორი, რად უნდა ბოსელ-საღორე?!
რახან გარაჟი მოაწყო, სხვა არაფერი აღონებს!
კვირას ჩაჯდება „ჟიგულში“, ბაზრისკენ გასწევს გრიალით,
სურსათიანი ბრუნდება, ბრუნდება ხორაგიანი!
ძვირობააო, წუწუნებს, ფულის ხარჯვაში გულჩვილი,
ცოტა პროდუქტი მოაქვთო! — ბაზრის სიძვირეს უჩივის!
არქიფო, ცხოვრობ სოფელში და სოფლის კაცად ვერა გცნობ,
ძროხა, ღორი და ქათამი როგორ არა გყავს შე კაცო?!
სოფელში თუ ხარ, იცხოვრე, როგორც სოფლის კაცს შეჰფერის!
ბაზარი მიტომ გაძვირდა, რომ გაგვიმრავლდა შენფერი!

ნოდარ შამანაძე

ნახ. მ. აბაშიძისა




„უკვე კარგა ხანია საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის დირექტორისაგან მოითხოვს გადამჭრელი ზომების განხორციელებას, რათა ქარხანაში გაუმჯობესდეს შრომის პირობები, თავიდან აიცილონ გარემოს გაჭუჭყიანება. სამეურნეო მუშაკები კი ამ მოწოდებებზე ყურსაც არ იბერტყავდნენ. სწორად მოიქცა რესპუბლიკის მთავარი სახელმწიფო სანიტარული ექიმი, როცა ამ ცოტა ხნის წინ გადაწყვიტა გამოეყენებინა ის დიდი უფლებები, რომლებიც კანონით აქვს მინიჭებული. მან დაახურინა საწარმოს ზოგიერთი ქვეგანაყოფი“.

„პრავდის“ მოწინავედან

საყავეში გაგონილი

## ფრაზები

● ქმარი ციხეში ისვენებს, ცოლი — ციხის ძირში.

● ისე გახდა, მარტო სახელი და გვარი შერჩა.

● თვითონ თვრება, ღვინოს ცოლ-შვილს ანელებინებს.

● დედა ნახე, მამა ნახე, სკამი მერე გამონახე!

● შვილი უმაღლესი ლიგის ფეხბურთის სკოლაში მოაწყო.

● წერა-კითხვა კი უჭირს, მაგრამ ტელევიზორს კარგად უყურებს.

ა. შაინოვი
(ქ. ბათუმი)

# შეხვედრა

— გამარჯობა თქვენი, ბატონო ბიძია! — უთხრა შავკოსტიუმიანმა, შავულვაშა ვაჟკაცმა მოხუც გლეხს. გლეხს მხარზე სამოყიანი თოხი გაედო, შავულვაშა ვაჟკაცს კი ლამაზი ჩემოდანი „დიპლომატი“ ეპყრა ხელთ. გზა ხვნეშით მიდიოდა ალმართში და ბული ასდიოდა. გლეხმა თავი მოაბრუნა.

— იცოცხლე, ჩემო ბატონო!

— ეს გზა ბორიეთში ხომ მიმიყვანს, ბატონო ბიძია?

— რავა არა, ბატონო, მიგიყვანს. ადრე ე, იმ მთას უვლიდა გარშემო, ამ თხუთმეტი წლის წინათ კი აქ გაჭრეს გზა. თქვენ სტუმრად მობრძანდებით ჩვენს სოფელში ალბათ, ხომ?

— ა... არა!

— არა?.. აა, მივხვდი: რაიონული გაზეთიდან ხართ მოვლინებული.

— არა, ბიძია.

— აბა, სოცუზრუნველყოფიდან ხომ არ ხარ?

— არა, არა.

ალმართი გათავდა და გზამ ამოისუნთქა.

— ააა, მივხვდი! — არ ცხრებოდა ბერიკაცი, — განათლების განყოფილებიდან იქნები.

— არა, ბატონო ბიძია, არც იქიდან ვარ.

— რა ვიცი, — დაფიქრდა მოხუცი, ჭალარა წარბები აძგიფა და თავი გადააქან-გადმოაქანა. — ძაან ნაცნობი სახე გაქვს, ალბათ ჩვენს რაიცენტრში თუ მინახავხარ... აბა, იმის იქით მე არ ვყოფილვარ და... მოიცა, აფთიაქის გამგე ხომ არ ხარ, ბიძიკო?

შავულვაშა ვაჟკაცს გაეცინა და უარის ნიშნად თავი გააქნია.

— აბა, ექიმი? პოლიკლინიკაში გნახავდი, ხშირად დავდივარ იქ... — არ ეშვებოდა მოხუცი.

— არა, ბატონო, არც ექიმი ვარ... კი მაგრამ, — ცოტა არ იყოს, გაბრაზდა შავულვაშა ვაჟკაცი. — ამ დაკითხვას რომ მიწყობთ, ჯაშუში ხომ არ გგონივართ?! ნაცნობი სახე თქვენც კი გაქვთ, მაგრამ არც კორესპონდენტობა თამიბრალებია თქვენთვის და არც ექიმობა! ბიჭოს!

მოხუცს, ჩანს, ეწყინა, მხრები აიჩეჩა და ისევ წახარა თავი. ერთხანს ჩუმად მიდიოდნენ. ამასობაში ორლობე დაიწყო. ჭალარა გლეხი დროდადრო გამოხედავდა შავკოსტიუმიანს და თავისთვის ბუტბუტებდა:

— არა, სადღაც მინახავს ეს კაცი! ნამეტანი ნაცნობი სახე აქვს. ახლა სათოხარში რომ არ მივდიოდე...

მგზავრი, ეტყობა, აგრეთვე ფიქრებში ტივტივებდა, მაგრამ ბოლო სიტყვებს ყური მოჰკრა, პირი თავისით გაელო და უნებლიეთ დაამთქნარა, ტკბილად, ხანგრძლივად, არც გახმოვანება დაუკლია:

— ჰაა-ორ-იპ-ე...

მოხუცი კლდეს შეჯახებულივით შედგა.

— ა?! ?!

მგზავრიც შეკრთა და წაიბორძიკა.

— ვინ გასწავლა, ყმაწვილო, შენ ამისთანა დამთქნარება? ა?

— რაიო? — შეცბა მგზავრი.

— რაიდა, ჩემს მოსწრებულ შვილს რომ ვეტყოდი, ადე, ბაბა, სათოხარში წამყევი-მეთქი, სწორედ ამისთანა მთქნარება აუტყდებოდა!.. ეჰ, დამეკარგა ბიჭი, ქალაქში გამექცა და აგერ თხუთმეტ წელზე მეტია, ალარ გვკადრულობს... ჰოდა, ჩემს შალიკიას ხომ არ უსწავლებია შენთვის, ყმაწვილო, ამნაირი დამთქნარება, ა?

— შალიკიასო?!

— ჰო.

— მამა!

— რაიო?!

— მამა!

— შალიკია, ბიჭო! შვილო!.

ნუგზარ აფხაზავა



— კაცო, ბოსტნეულის მაღაზიის დირექტორი ხარ და ბაზარში ყიდულობ ბოსტნეულს?!
— ვიტრინაში დასადებად მინდა!

ნახ. გ. ფირცხალავასი

## ქუდი აქვს და...

ტელეფონი რეკავს ცხარედ,
ლამის ჭერი გაიბზარა! —
დაეძებენ ეძგვერაძეს,
ქუდი ჩანს და კაცი — არა!
დილით მოვა, ქუდს დაჰკიდებს,
მერე მისი ქრება კვალი,
ზემდგომიდან, ქვემდგომიდან
რეკვა არის დაუმცხრალი!..
მომსვლელს მისი ხელქვეითი
ალოდინებს განა წუთით?! —
უპასუხებს: „გასულია,
ა, ბატონო, მისი ქუდი!“
თვით კი დაქრის, საითაც სურს,
კრებებზე რეკს, როგორც ზარი:
„დისციპლინა, დისციპლინა,
აი, რაა დღეს მთავარი!“
დილით კვლავ ქუდს ვხედავთ მჩინარს,
თვით იქცევა უჩინარად!..
იქნებ ასეთ ვაი-მუშაკს
ქუდი აქვს და თავი — არა?!

ამირან მიქაუტაძე
(ქ. სოხუმი)

## ნაკვესები

● **რძალი** ბუზს არ ისვამდა თავზე, სამაგიეროდ თვითონ აჯდა დედამთილს კისერზე.

● **ყვავს** [illegible] სპეკულანტის ნიჭი უნდა გქონდეს!

● **ქმარი** ცოლს სულში იძვრენდა, ცოლი კი ჯიბეში უძვრებოდა.

გივი აბურჯანია

● **ავადმყოფთან** ორნი მიიჩქაროდნენ — „სასწრაფო დახმარება“ და სიკვდილი. შეჯიბრებაში სიკვდილმა გაიმარჯვა.

● **იმპორტულმა** საქონელმა ინატრა: ნეტავ, მზის სინათლე როდის მეღირსებაო?!

● **ავტომანქანამ** გაიკვირვა, ტრესტის მმართველმა მთელი შტატი გამოცვალა, ჩემს გამოცვლას კი საშველი არ დაადგაო.

აკაკი ქავზინაძე

## თვალსაჩინო მაგალითი

**ზუსტ მეცნიერებათა დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა თავის მრავალრიცხოვან მსმენელებს რეპეტიტორმა ასე დამაჯერებლად დაუმტკიცა:**

— რამდენიმე წლის წინათ აბიტურიენტები მოვამზადე ისეთ განყენებულ მეცნიერებაში, როგორიცაა მათემატიკა, და ამხანაგობის სახლში ბინა გავინაღდე. შემდეგ ფიზიკაში მოვამზადე ბავშვები და ახალ ბინას კაპიტალური რემონტი გავუკეთე. ახლა, თქვენი იმედით, მანქანის შეძენას ვაპირებ!.. ისწავლეთ, ბავშვებო, მეცნიერება!.. გამოგადგებათ!

აპოლონ ბასილაია

## ბარათები — „ნიანგს“

**ბავშვის** საერთაშორისო წლის მიწურულში დავიბადე და, მოდასაყოლილმა, მაშინვე საწოვარა მოვითხოვე. ვერ მიშოვეს! არადა, სწორედ ახლა, ამ მოკლე ხანში მჭირდება, მერე, ბევრიც რომ მომცენ, უარს ვიტყვი!

პატარა გიორგი მაისურაძე

* * *

**დუშეთის** საფოსტო განყოფილების მოსაცდელში მხოლოდ ერთი ფეხებმონგრეული სკამი დგას. ჟინვალის, ბარისახოს, მაღაროსკარის, ორწყალის ავტობუსის მოსაცდელებში სკამი კი არა, კუნძებიც არ ყრია, რომ დაღლილმა მგზავრმა ჩამოისვენოს.

ვ. ხორნაული
მაღაროსკარი, სოფ. კონალხევი

* * *

**ჩვენს ეზოში** შარშან დაიწყეს 1975 წელს ავარიულობის გამო დანგრეული სათავსების აშენება. ამოთხარეს საძირკველი, ამოიყვანეს სამი კედელი და მიატოვეს!.. სამშენებლო მასალებს წვიმა და ქარი ანიავებს, ჩვენ კი ყოვლადაუცილებელი სათავსების გარეშე ვართ. დროებითი სარგებლობისათვის ხელდახელ გაკეთებულ კიბესაც კარგა ხანია დრო გაუვიდა და, სადაცაა, ჩაინგრევა!..

ჩარკვიანი, შიუკაშვილი, ხელაშვილი და სხვები
(თბილისი, მარჯანიშვილი ქ. № 49)

ნახ. ი. ქეინაშვილისა



უსიტყვოდ

# სატირა — რევოლუციის ჯარისკაცი



**ლენინის** დაბადების 110-ე წლისთავზე, როცა კაცობრიობა საზეიმოდ, სიყვარულით წარმოთქვამს პროლეტარიატის ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის სანუკვარ სახელს, სიამაყით უნდა ვახსენოთ მისი თანამებრძოლების — რევოლუციის ჯარისკაც-სატირიკოსთა სახელებიც.

თქვენს წინაშეა ამ რევოლუციური პლეადის რამდენიმე რაინდი.

პირველი რევოლუციის წლებში საქართველო მოიარა ცნობილი სახალხო მასწავლებლისა და მწერალ-იუმორისტის **ალექსანდრე მგელაძის** (ბლიკვაძე) ლექსმა „გურია გაღვიძებულა“, რომელსაც რევოლუციური პროპაგანდისტები სააგიტაციო მასალად იყენებდნენ.

ერთხელ სოფლის თავყრილობაზე ცნობილმა იუმორისტმა **აპოლონ წულაძემ** („პიტნამ“) ეს ლექსი ზეპირად წაიკითხა. მაზრის უფროსმა რომ გაიგო, ციებ-ცხელება დაემართა: არც აცია და არც აცხელა, მეორე დღესვე დააყენა სტრაჟნიკები თავზე. მაგრამ რა დღე დააწია „პიტნამ“ „უეზდნი ნაჩალნიკს“, იმას არ იკითხავთ?! ისეთი სცენა გაუმართა, აქეთ მოსაჭრელი თავი იქით მოჭრა, თუმცა მერე თვითონ უთქვამს: რა უნდა მომეჭრა, რაც არ ჰქონდაო.

— ეს რა სიტყვა გითქვამს და რა ლექსი დაგიწერია! — ცოფები ჰყარა მაზრის უფროსმა.

— სიტყვა კი ვთქვი და აწი ვერც გამოვეკიდები და ვეღარც დავეწევი, მაგრამ ის ლექსი, სამწუხაროდ, მე არ დამიწერიაო, — მშვიდად უპასუხნია „პიტნას“.

— რას ჰქვია, შენ არ დაგიწერია?! თავიდან ბოლომდე ზეპირად გითქვამს! — ქვა გაუხეთქია „ზემდგომი“ ლოგიკით განრისხებულ უფროსს. „პიტნას“ სახალხოდ დაუჩოქნია, თვალები სასოებით აღუპყრია და თავიდან ბოლომდე ზეპირად ჩაუბულბულებია „მამაო ჩვენო!“ მორწმუნე მაზრის უფროსი წამომხტარა, პირჯვარი გადაუსახავს და იძულებული გამხდარა ბოლომდე მოესმინა ლოცვა. მერე გონს მოსულა, წამომხტარა და უყვირია:

— რას ნიშნავს ყოველივე ეს?!

— ეს იმას ნიშნავს, ბატონო, რომ მე „მამაო ჩვენოც“ ზეპირად ვიცი, მაგრამ ღმერთი-რჯული, ჩემი დაწერილი არ არის...

...რევოლუციამდელი საქართველოს სატირულ-იუმორისტულ პრესაში 7 წლისამ დაიწყო ბეჭდვა შემდგომში ენფიანჯიანცის თამბაქოს ფაბრიკის მუშამ, „კობას“ თანამებრძოლმა **მიხეილ ლელაშვილმა** (ფსევდონიმები — „შმაგა“, „მუშტუკი“, „მეპაპიროსე“). მან გამოსცა სატირულ-იუმორისტული ალმანახები — „ზურნა“, „შურდული“, „ხუმარა“, „სატანა“, „ალიაქოთი“, „ახალი ალიაქოთი“, „სოფლის ალიაქოთი“, „ჩვენი ალიაქოთი“, „შხამიანი ჭინჭარი“, „აურ-ზაური“, „ქრისტე აღსდგა“, „ჭინჭარი“, „სუსხი“, „ლახტი“. სულ სხვა ჰანგზე „ატანცავებდა“ მისი „ზურნა“ ბატონებს, ბევრი კოპი გაუჩინა მისმა „შურდულმა“ მჩაგვრელებს, ბევრი „აურ-ზაური“ და „ალიაქოთი“ აუტეხა მათ, მწვავე „სუსხი“ და „შხამიანი ჭინჭარი“ აგემა, რისთვისაც თვითონაც არაერთხელ იწვნია თვითმპყრობელობის მათრახი, ციხე და ცხრაკლიტული.

ერთხელ ბოჟარჯიანცის ფაბრიკის მუშათა გაფიცვის სოლიდარობის ნიშნად ენფიანჯიანცელებიცა და საფაროვის ქარხნის მუშებიც აღსდგნენ. „ხაზეინებმა“ დელეგატებს ცივად უპასუხეს — თქვენს მოთხოვნებს მაშინ დავაკმაყოფილებთ, თუ მიხეილ ლელაშვილს ფაბრიკაში არ შემოუშვებთ, ეგ ხალხს „გვიბუნტებს“ და ბოლშევიკებთან აქვს კავშირიო!

ეგ არ იქნებაო! — მტკიცედ უპასუხეს მუშებმა. მაშინ მეპატრონეებმა, იმათი პატრონის ქვეყანაც არ იყოს, მეორე პირობა წამოაყენეს — ჯანდაბას, ერთი ჯილაგისანი ხართ და თქვენი გაყოფა არ გამოვა, იაროს ფაბრიკაში, ოღონდ მარტო შაბათობით მოვიდეს ხელფასის ასაღებად, არც მაგის ხელობა გვინდა და არც მაგის ქადაგებაო! არც ეს გამოუვიდათ.

...„მიმინო“, „მ-ნო“, „თბილელი“, „პრომეთე“... ამ ფსევდონიმების უკან დგას რევოლუციის რაინდი **ვანო ხანდამიშვილი,** რომლის შესახებაც ძალზე ცოტა რამ ვიცით. თბილისელი ღარიბი სემინარიელი რევოლუციურ ქარიშხალთან პირველ შეხვედრისთანავე ძმად ვაეფიცა პროლეტარიატს. სემინარიის კედლებში მეხივით გავარდა მის მიერ ქართულად ნათარგმნი „მარსელიეზა“.

მეტეხის ციხე. აქ მან კვლავ გაიხსენა თავისი „ღვთიური“ ხელობა — მღვდელმსახურება და ციხის ეკლესიიდან ახორციელებდა რევოლუციურ წრეებთან კავშირს.

ვასილ ხანდამიშვილის მრავალშვილიანი ღარიბი ოჯახი ჭეშმარიტ რევოლუციონერთა ბუდე იყო. თვითმპყრობელობასთან ბრძოლის ათწლიან ხასჯელს იხდიდა ხერსონის ციხეში ვანოს და სოფიო, სამი წელი იჯდა ბაქოს ცხრაკლიტულში მისი მეორე და ოლღა, ჟანდარმერია დევნიდა მის ძმას, რკინიგზელ მუშას დავითს. ჯერ კიდევ 1909 წელს, არალეგალური ორგანიზაციის ბეჭდვისა და პროკლამაციების შენახვისათვის, მცირეწლოვან შვილებთან ერთად, დააპატიმრეს ვანოს დედა — მარიამი.

სტანიცა სტაროშინსკის სკოლის მასწავლებელი ვანო ხანდამიშვილი 1916 წელს ყუბანის ოლქში არალეგალურ პარტიულ სამუშაოზეა. სწორედ აქ ხვდება იგი, თავის მოსწავლეებთან ერთად, ოქტომბრის რევოლუციას.

1918 წელს ვანო ხანდამიშვილი ნოვოროსიისკის გაზეთ „იზვესტიას“ რედაქტორობს, ებრძვის თეთრგვარდიელთა ბანდებს და აქ თავდება მისი გზაც. თეთრ ბანდიტებს გაუსამართლებლად აჰყავთ იგი რედაქციის წინ ალმართულ სახრჩობელაზე! რჩება უკვდავი სახელი!

...და კიდევ ერთი ლეგენდარული გმირი — **სილიბისტრო (სილია) თოდრია** — თბილისის პირველი რევკომის თავმჯდომარე, შემდეგში — საქართველოს სსრ სოციალისტური უზრუნველყოფის, მიწათმოქმედებისა და შრომის სახალხო კომისარი, საქართველოს სსრ და ამიერკავკასიის სფსრ ცაკის პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, ქართული საბჭოთა სატირულ-იუმორისტული ჟურნალ „ნიანგის“ რედაქტორი.

დიდი ოქტომბრის გენერალური რეპეტიციის — 1905 წლის ნოემბერში, რევოლუციის აღმავლობის დღეებში, პეტერბურგში ბოლშევიკური გაზეთის „ნოვაია ჟიზნის“ რედაქციის სხდომაზე ვლადიმერ ილიას ძე ლენინს ბ. კრასინმა წარუდგინა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მოსკოვის არალეგალური სტამბის მუშა-რევოლუციონერი ს. თოდრია.

„ვლადიმერ ილიჩ! — მიმართა კრასინმა ლენინს, — აი, ეს არის ჩვენი სილია!“ ლენინმა თოდრიას მაგრად ჩამოართვა ხელი და ღიმილით ჰკითხა: „როგორ ცხოვრობთ? როგორ არიან ბიჭები?“ ვ. ი. ლენინი ბიჭებში გულისხმობდა არალეგალური სტამბის მუშებს, რომელთა ღვაწლს დიდად აფასებდა, მათ რევოლუციურ გმირებს უწოდებდა.

„დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ სახელგანთქმული რევოლუციონერის ს. ი. თოდრიას პორტრეტს ამთავრებს ბოლო ფრაზა: „მისი ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო 1917 წელს და უმთავრესად განვითარდა იუმორისა და სატირის ჟანრში“.

სამარადისო დიდება რევოლუციის ჯარისკაცებს, რომელთა სახელებს სიამაყით ვახსენებთ პროლეტარიატის დიდი ბელადის — ვლადიმერ ილიას ძე ლენინის უკვდავ სახელთან ერთად!

ბიჭო ნიშნიანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რეზინის კაცი

**ყოველკვირეულმა** „ნ ე დ ე ლ ი ა“ ამას წინათ თავის მკითხველებს შესთავაზა შორეულ აღმოსავლეთში მცხოვრები არაპროფესიონალი პოეტების ლექსები. მათ შორის დაიბეჭდა შორეული ნაოსნობის კაპიტნის თანაშემწის **თევდორე მაკაროვის** ეს ლექსი.

მე ერთი ძველი
ნაცნობი მყავს,
კაცადაც თითქოს
არა უშავს რა,
ესაა ოღონდ,
გუგებში,
ორთავე თვალის ნაცვლად,
რეზინი უდევს.
ცხვირიც,
წარმოიდგინეთ, პირიც,
ხერხემალზე რომ
აღარა ვთქვათ,
რეზინისავე აქვს.
ჩვეულებრივი
როდიაო იგი! —
ამბობენ მასზე.
თუმც:
ჩვეულებრივ
სახლში ცხოვრობს
და ჩვეულებრივ
მანქანაშიც ზის,
თუმც,
უჩვეულოც არავინ
არ ახვევია გარს...
ო, რომ იცოდეთ,
რა კეთილია:
პირდაპირ მიხსნა
მან ამას წინათ,
როცა თოთხმეტი
კაპიკი მომცა
სესხად, დილით
რომ მეყიდა „პრიმა“.
ჰოდა, მოდი და,
ნუ გაგიჟდები,
ასეთი კაცი
რომ ცხოვრობს გვერდით.
თანაც, მოდი და
ნუ გეწყინება,
ნაკერი რომ ხარ
ხორცით და ძვლებით,
უსურვაზივით
არ იგრიხები!

**თარგმნა ვაჟა ჟანიშვილმა**

ნახ. გ. ფირცხალავასი



**უსიტყვოდ**

ნახ. მ. აბაშიძისა



**— უქნარავ, მოგკლავ, გაგანადგურებ!**



# ნიანგს უპასუხებენ

**საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო:**

**„ნიანგის“** გ ა ს უ ლ ი წლის 23-ე ნომერში დაბეჭდილ კრიტიკულ წერილში — **„მეხის დაცემა მუხის კარების შემკვეთის თავზე“** — მოტანილი ფაქტი დამტკიცდა. საკითხი განხილული იქნა სამინისტროს კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე მიმდინარე წლის 17 თებერვალს. თბილისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ავეჯის ინდივიდუალური შეკვეთის ფაბრიკის № 13 საამქროს ოსტატის **თ. პოპულოვის** საქმე ძიებაშია გადაცემული, ამავე საამქროს ბრიგადირი **ს. ადუაშვილი** მოიხსნა თანამდებობიდან, მკაცრი ადმინისტრაციული სასჯელები დაედოთ ფაბრიკის დირექტორსა და მთავარ ინჟინერს.

* * *

**ზესტაფონის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი:**

**„ნიანგის“** მ ე-2 ნომერში სათაურით — **„იცით თუ არა თქვენ, რომ...“** მხილებული იყო ნაკლოვანებები სოფელ შუა კვალითის სატრანსპორტო, სამედიცინო, სავაჭრო მომსახურების საქმეში. ჟურნალში გამოქვეყნებული სიგნალის შემდეგ შეკეთდა რაიონის ცენტრიდან სოფელ შუა კვალითამდე გამავალი გზა და მარტის თვიდან დაინიშნა სამარშრუტო ავტობუსი; გაუმჯობესდა სოფლის სავაჭრო ობიექტების სასურსათო და სამრეწველო საქონლით მომარაგება; რაიონის სამედიცინო გაერთიანებამ გააძლიერა დახმარება სოფელ კვალითის საექიმო ამბულატორიაზე, რომელიც შუა კვალითსაც ემსახურება.

სოფლის მშრომელთა სამართლიანი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და სოფლად მომსახურების გასაუმჯობესებლად რაიონის ყველა სასოფლო საბჭოში ეწყობა სოფლის მშრომელთა ყრილობები და მთხოვნელთა ადგილებზე მიღება რაიონის ხელმძღვანელი ორგანოების და სხვადასხვა სამსახურების მონაწილეობით.

* * *

**საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო:**

ჟურნალ „ნ ი ა ნ გ ი ს“ პირველ ნომერში დაბეჭდილი წერილი — **„ფერადი ტელევიზორის ჩივილი“** — გორის სარეტრანსლაციო ტელესადგურის უხარისხოდ მუშაობის შესახებ — სინამდვილეს შეესაბამება.

ქ. გორის ტელესადგური აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკური მოწყობილობით და შეუძლია უზრუნველყოს ტელეგადაცემების ფერადი გამოსახულების მაღალი ხარისხი, მაგრამ სადგურის ნორმალური მუშაობა ვერ იქნა უზრუნველყოფილი მომსახურე პერსონალის ტექნიკური მომზადების დაბალი დონის გამო.

მდგომარეობის გამოსასწორებლად ამა წლის თებერვლიდან დაწესდა გორის ტელესადგურში რესპუბლიკური ტელეცენტრის წამყვანი სპეციალისტების მუდმივი მორიგეობა. მიღებულია ზომები ტელესადგურის მაღალკვალიფიციური კადრებით დასაკომპლექტებლად.

# იუგოსლავიური კარიკატურა





## განცხადებები

ხელმისაწვდომ ფასებში ვყიდულობ მოსაწყენ ბარათებს ისტორიაში შესასვლელად.

●

მომხმარებლებთან დასაჭახებლად დღეს გვაქვს გაუჩხავებელი ლუდი.

●

მთავარი რედაქტორი ზაურ ბოლქვაძე სარედაქციო კოლეგია: ზ. კაციაშვილი, ჯ. ლოლუა, გ. ლომიძე, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ.), გ. ნიშნიანიძე, გ. სიხარულიძე (პ/მგ. მდივანი), გ. ფირცხალავა, ო. ჭელიძე ● ტექნიკური რედაქტორი მ. კუხალაშვილი, ● სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი". ● თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, გადაეცა ასაწყობად 8/IV 80-წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/V 80-წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1.7 ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ● შეკვეთა № 1015. უე 00665 ტირ. 160,400 Тбилиси, пр. Руставели № 42, Сатирико-юмористический журнал «Нианги», ● Издательство ЦК КП Грузии. ● Типография Издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ნახატი თემების ავტორები: მ. აბაშიძე, ზ. ბაღდაშვილი, გ. ფირცხალავა, ი. ყუინაშვილი.

№ 358
31.VI 80

КОНТРОЛЬНЫЕ ЭКЗЕМПЛЯРЫ

80-356
ეროვნული ბიბლიოთეკა

„იმპერიალიზმმა ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების გარიჟრაჟზე დაგვიპირა შემოწმება, და ყველას ახსოვს, თუ რით დამთავრდა ეს. ჩვენს გატეხვას ცდილობდნენ ფაშისტი აგრესორები ყველაზე სისხლისმღვრელ ომში, როგორიც კი გადაუტანია კაცობრიობას. მაგრამ ისინი დამარცხდნენ. ჩვენ გვცდიდნენ „ცივი ომის“ წლებშიც, როცა უფსკრულისაკენ უბიძგებდნენ მსოფლიოს და ზედიზედ აჩაღებდნენ საერთაშორისო კრიზისებს. მაგრამ მაშინაც ვერავინ ვერაფერი დაგვაკლო. ურიგო არ იქნება, ყოველივე ეს დღეს რომ შევახსენოთ“.

ლ. ი. ბრეჟნევი

სიმტკიცის გამოცდა ანუ როგორ დავიწყებიათ ისტორიის გამოცდილება.

